ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5132313

ნომერი: AR1767256

თარიღი : 11.08.2020

გაცემის თარიღი : 07.10.2020

გაცნობის თარიღი : 07.10.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N 12ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხვითარია პ/ნ 01024020824
- k. kapanelis 5 b 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ :ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ ს.კ.#01.19.20.001.030 მიწის ნაკვეთზე გაცემულია N000369 27.05.2020წ. მითითება და დაწყებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით,რომლის გათვალისწინებით დაგევალათ აქტის საფუძველზე გაცემული ჯარიმის ქვითარის წარმოდგენა (წარმოდგენილი ქვითრის მონაცემებით ვერ დგინდება რომ აღნიშნული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით არის გადახდილი ქვითარი), ან ასევე მიგეთითათ წარმოგედგინათ შესაბამისი აქტი სამშენებლო სამართალდარღვევაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. (აღნიშნულის თაობაზე სამსახურის მიერ გეცნობათ № 5117827გადაწყვეტილებით, რაც არ იქნა თქვენს მიერ გათვალისწინებული.)

ასევე ჯარიმის ქვითართან ერთად წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაცემულ დადგენილება #დად -115/06 (15/ივლისი/2020წ) გაცემულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟებასთან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გამოვლენილ სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით;

აღსანიშნავია ის გარემოებაც ,რომ სამსახურის № 3378193 (12/07/2017წ) ბრძანებით საკადასტრო კოდით N01.19.20.001.030 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცებული იქნა ბენზინ გასამართი სადგურის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომელიც ეხება უშუალოდ აღნიშნული შენობის რეკონსტრუქციას .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან სამსახურისთვის არ არის ცნობილი იგეგმება თუ არა რეკონსტრუქცია , ასევე არ იქნა გამოსწორებული მითითებული ხარვეზები , სამსახური შეუსაბამობის ხარისხის კიდე მეტად გაზრდას (ანუ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუენტაციით რეკონსტრუქციის განხორციელებას) ვერ დაეთანხმება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და შესაბამისად სამსახური ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.